ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ
28 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ,
1956 ᲬᲚᲘᲡ
№ 96 (1009)
ᲤᲐᲡᲘ 30 ᲙᲞ.
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ - 30-10 - ᲬᲚᲘᲡ

ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

მელბურნის „კრიკეტ გრაუნდის“ სტადიონზე ყოველ დღე 104.000 მაყურებელი ზის. (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სპორტსმენებს, კორესპონდენტებს, მომსახურე პერსონალს, რომელთა რიცხვი 16.000-ს უდრის). ასევე სავსეა ტრიბუნები სხვა ბაზებზეც, სადაც მიმდინარეობს შეჯიბრებები კრიკეში, კალათბურთში, ფარიკაობაში, სიმძიმეების აწევაში...

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, მსუბუქი წონის შტანგისტთა შორის პირველი ადგილი ახალი ოლიმპიური რეკორდით დაიკავა საბჭოთა ძალოსანმა ი. რიბაკმა (110+120+150=380 კგ). ამ წონაში ვერცხლის მედალი მოიპოვა რ. ხაბუტდინოვმა (სსრკ) — 372,5 კგ.

ქვესაშუალო წონაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა ფ. ბოგდანოვსკიმ. პირველი მოძრაობა — აჭიმვა მან დაამთავრა ახალი ოლიმპიური რეკორდით — 132,5 კგ. ატაცში ბოგდანოვსკიმ აჩვენა 122,5 კგ, ხოლო აკრაში მიაღწია მეტად მაღალ შედეგს — 165 კგ. ამ მოძრაობათა ჯამი — 420 კილოგრამი წარმოადგენს ახალ ოლიმპიურ და მსოფლიო რეკორდს. ბოგდანოვსკის მიეკუთვნა ოქროს მედალი. მას 7,5 კილოგრამით ჩამორჩა მისი მუდმივი მეტოქე ამერიკელი პიტერ ჯორჯი.

შეჯიბრება საშუალო წონაში დამთავრდა ამერიკელი შტანგისტის ტ. კონოს შესანიშნავი გამარჯვებით. მისი შედეგი სამჭიდის ჯამში — 447,5 კგ ახალი მსოფლიო რეკორდია. ვ. სტეპანოვმა 427,5 კილოგრამით დაიკავა მეორე ადგილი და გაუსწრო დ. ჯორჯს (აშშ).

ბრწყინვალედ გამოვიდა ქვემძიმე წონაში სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ვორობიოვი (სსრკ), რომელმაც სამივე მოძრაობაში მაღალი კლასი და ფენომენალური ძალა გამოამჟღავნა. ვორობიოვმა აჭიმა 147,5 კგ, აიტაცა 137,5 კგ და აჭკრა 177,5 კგ. მისი ჯამი კლასიკურ სამჭიდში — 462,5 კგ ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდია. ამ წონაში მეორე ადგილი დაიკავა ცნობილმა ამერიკელმა შტანგისტმა დ. შეპარდმა.

მძიმე წონის ატლეტთა შორის თანაბარი შედეგი აჩვენეს სამჭიდის ჯამში ანდერსონმა (აშშ) და სელვეტიმ (არგენტინა). იგი პროფესიათა კონოსსახიობია) — 500 კგ. წესის თანახმად ძალოსნები აწონეს. ვამოიკვეა, რომ ანდერსონი უფრო მსუბუქი იყო (137 კგ 500 გრ). ამიტომ ოქროს მედალი მას მიეკუთვნა.

უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ბრძოლა ვაჟთა შორის 800 მეტრზე რბენაში. მსოფლიოში საუკეთესო შედეგი წელს ნაჩვენები ჰქონდა ამერიკელ ტ. კურტნეის — 1.46,4. იგი ამჯერადაც უძლიერესი აღმოჩნდა და ფინიშთან პირველი იყო შედეგით — 1.47,7.

წარუმატებლად მონაწილეობდნენ საბჭოთა მძლეოსანი ქალები 100 მეტრზე რბენაში. ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ფინალამდე მიღწევა. ნახევარფინალურ გარბენებში საუკეთესო შედეგები ჰქონდათ მეტიუსს, კუტბერტს (ავსტრალია), შტუბნიკს (გერმანია), ერმიტეჯს (ინგლისი). შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენდა ფინალისტთა რბენა ამ დისტანციაზე. გამარჯვება შედეგით 11,5 მოიპოვა ბ. კუტბერტმა. 0,2 წამითა ჩამორჩა მას კ. შტუბნიკი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა ოქროს მედლისათვის ჭოკით ხტომაში გაიმართა ამერიკელ სპორტსმენებს შორის. უძლიერესი მათ შორის აღმოჩნდა რ. რიჩარდსი — 4 მ 56 სმ.

ახალი მსოფლიო რეკორდით დამთავრდა ვაჟთა შეჯიბრება შუბის ტყორცნაში. ბრწყინვალე ფორმაში იყო ნორვეგიელი სპორტსმენი ე. დანიელსონი, რომელმაც განსაცვიფრებელ შედეგს მიაღწია — 85 მ 71 სმ. პოლონელმა ი. სიდლომ შუბი ტყორცნა 79 მეტრსა და 98 სანტიმეტრზე და მოიპოვა ვერცხლის მედალი. მესამე ადგილზეა ვ. ციბულენკო (სსრკ) — 79 მ 50 სმ.

ჩატარდა წინასწარი გარბენები ვაჟთა შორის 200 მეტრზე რბენაში, სადაც ვამოირკვა ნახევარფინალის მონაწილეთა შემადგენლობა.

პირველ გარბენში გაიმარჯვეს ა. ჯალიმმა (პაკისტანი) და მ. ავგუსტინიმ (ტრინიდადი) — 21,1. მეორე გარბენში ფინიშთან პირველი იყო ე. სტენფილდი (აშშ) — 21,1. ბ. ტოკარევმა (სსრკ) აჩვენა 21,2. მომდევნო გარბენებში გაიმარჯვეს ტ. ბეიკერმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა 100 მეტრზე რბენაში ბ. მორიუმ (ორივე აშშ).

მსოფლიოს უძლიერეს სტაიერთა რბენას 5000 მეტრ მანძილზე მელბურნში მოელიან უდიდესი ინტერესით. უკვე ჩატარდა წინასწარი გარბენები (ყოველი გარბენიდან ფინალში გადის 5 საუკეთესო). პირველი გარბენი მოიგო ვ. პირიმ (ინგლისი) — 14.25,6, საბჭოთა სპორტსმენმა პ. ბოლოტნიკოვმა დაიკავა მეოთხე ადგილი. მომდევნო გარბენი დამთავრდა ავსტრალიელი ა. ლაურენსის გამარჯვებით — 14.14,1, ვ. კუცმა დაიკავა მეორე ადგილი. მესამე გარბენი მოიგო ა. ტომასმა (ავსტრალია) — 14.14,2, მესამე ადგილზეა ა. ჩერნიავსკი (სსრკ).

შედგა მატჩი ფუტბურთში ინგლისის და ტაილანდის გუნდებს შორის, რომელიც დიდი ანგარიშით — 9:0 მოიგეს ინგლისელებმა.

უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა შეხვედრა კალათბურთში საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის გუნდებს შორის. იგი დამთავრდა ფრანგების გამარჯვებით, ანგარიშით 76:67. ამის შემდეგ საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს სინგაპური — 91:42.

ამრიგად, კალათბურთში გამოვლინდა ორი ნახევარფინალური ქვეჯგუფი. პირველ ჯგუფში შედიან: სსრკ, აშშ, გრაზილია, ბულგარეთი. მეორეში — ურაგვაი, საფრანგეთი, ჩილი, ფილიპინები.

დამთავრდა ვაჟთა გუნდური შეჯიბრება რაპირაში. ფინალში აბრძოლდნენ იტალიისა და საფრანგეთის მოფარიკაკეები. ანგარიშით 9:7 შეხვედრა მოიგეს ფრანგებმა, რომელთაც მოიპოვეს ოქროს მედლები.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: საბჭოთა სპორტსმენები (მარცხნიდან) შჩერბაკოვი, კუცი და კრივონოსოვი მელბურნში „კრიკეტ გრაუნდის“ სტადიონზე.

3:0

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ. 25 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ (ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ) — ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ (ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ) — 3:0 (1:0).

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ: ᲛᲝᲰᲐᲛᲔᲓ ᲑᲐᲘᲐᲗᲘ, ᲐᲒᲠᲐᲒᲘ, ᲐᲠᲔᲤᲘ, ᲛᲐᲰᲛᲣᲓ ᲑᲐᲘᲐᲗᲘ, ᲔᲠᲤᲐᲛᲘ, ᲑᲔᲰᲔᲨᲗᲘ, ᲮᲐᲢᲐᲛᲘ, ᲜᲐᲓᲔᲠᲘ, ᲙᲣᲖᲐᲙᲝᲜᲘᲜᲘ, ᲑᲠᲣᲛᲐᲜᲓᲘ, ᲯᲔᲓᲘᲙᲐᲠᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ, ᲔᲚᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲩᲝᲮᲔᲚᲘ, ᲮᲝᲪᲝᲚᲐᲕᲐ, ᲙᲝᲢᲠᲘᲙᲐᲫᲔ, ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ, ᲖᲐᲖᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲐᲚᲚᲔᲕᲘ, ᲑᲐᲠᲭᲐᲘᲐ, ᲭᲙᲣᲐᲡᲔᲚᲘ.

ᲛᲡᲐᲯᲘ Ტ. ᲑᲐᲮᲠᲐᲛᲝᲕᲘ (ᲑᲐᲥᲝ).

ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲜᲔᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲘ ᲨᲝᲙᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲐᲣᲩᲥᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲖᲕᲔᲠᲐᲕᲔᲜ. ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲛᲔᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔᲯᲔᲠ ᲡᲪᲐᲓᲔᲓᲐ ᲛᲝᲣᲚᲝᲚᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘᲜᲐᲫᲔᲚᲗᲐ ᲛᲪᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲕᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲑᲣᲠᲗᲡ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲡᲐᲮᲘᲝᲗᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲑᲠᲣᲛᲐᲜᲓᲛᲐ ᲙᲣᲖᲐᲙᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ ᲐᲪᲓᲐ ᲙᲐᲠᲘᲡ.

ᲔᲡ ᲜᲔᲚᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲢᲔᲛᲞᲘᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲪᲔᲑ ᲩᲐᲠᲝᲔᲗ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲖᲕᲔᲠᲐᲕᲔᲜ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲛᲝᲰᲝᲚᲐᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲑᲣᲠᲗᲡ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲡᲐᲮᲘᲝᲗᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲑᲠᲣᲛᲐᲜᲓᲛᲐ ᲙᲣᲖᲐᲙᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ ᲐᲪᲓᲐ ᲙᲐᲠᲘᲡ.

ᲔᲡ ᲜᲔᲚᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲢᲔᲛᲞᲘᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲪᲔᲑ ᲩᲐᲠᲝᲔᲗ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲖᲕᲔᲠᲐᲕᲔᲜ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲗᲘ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲘᲗ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ — 1:0.

ᲛᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲢᲐᲘᲛᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ 45 ᲬᲣᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲮᲐᲓᲘ ᲘᲧᲝ.

ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲝᲢᲠᲘᲙᲐᲫᲔ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲭᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲮᲐᲖᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ — ᲛᲔᲡᲮᲘᲡ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲓᲐ ᲗᲔᲰᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲖᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲐ, 7 ᲬᲗᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲕ ᲓᲐᲪᲕᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲘᲔᲠᲘᲨᲘ, ᲝᲠᲘᲕᲔ ᲤᲚᲐᲜᲒᲖᲔ ᲖᲔᲓ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲮᲐᲖᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲝᲜᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲡᲮᲘ ᲓᲐ ᲭᲙᲣᲐᲡᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲪᲝᲢᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲠᲐᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲣᲠᲢᲧᲐᲛᲓᲜᲔᲜ ᲙᲐᲠᲨᲘ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲐᲘᲦᲝ ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲑᲐᲘᲐᲗᲘᲛ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡᲐᲠᲗᲚᲔᲚᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲐᲠᲔᲕᲜᲐᲚᲘ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲛᲝᲣᲓᲝᲓᲐ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲝᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲔᲫᲔᲑᲜᲐᲗ ᲒᲖᲐ ᲙᲐᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲫᲚᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲘᲖᲣᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲛᲔᲡᲮᲘ — 2:0, ᲮᲝᲚᲝ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲗᲮᲣᲠᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲗ ᲐᲘᲦᲝ ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲙᲐᲚᲚᲝᲕᲔᲛᲐ.

ᲐᲛᲘᲗᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ 3:0.

Რ. ᲥᲝᲩᲘᲫᲔ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲣᲨᲕᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Მ. ᲖᲐᲠᲒᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲘᲐ ᲰᲘᲓᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲑᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲠᲝᲓᲘ ᲘᲪᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ. Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲕᲐᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ Ა. ᲮᲐᲠᲚᲐᲛᲞᲘᲔᲕᲘ. ᲛᲐᲜ ᲛᲝᲘᲐᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ, ᲨᲣᲐ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘ, ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲰᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ — ᲰᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ — ᲡᲐᲛᲑᲝ.

ᲡᲐᲛᲑᲝᲡ ᲐᲛᲘᲪᲐᲜᲐ, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ Ა. ᲮᲐᲠᲚᲐᲛᲞᲘᲔᲕᲘ, — ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲘᲛᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲛᲝᲕᲐᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲑᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

30-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ Ა. ᲮᲐᲠᲚᲐᲛᲞᲘᲔᲕᲛᲐ ᲩᲐᲛᲝᲐᲧᲐᲚᲘᲑᲐ ᲡᲐᲛᲑᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲒᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ.

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠ�გᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ Ა. ᲮᲐᲠᲚᲐᲛᲞᲘᲔᲕᲘ ᲐᲛᲔᲛᲐᲓ ᲞᲐᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲔᲬᲔᲕᲐ, ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡ და ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲓᲔᲑᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲗ. ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ, Ს�პᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲛᲐ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲥᲠᲔᲑᲘᲚᲗ ᲛᲝᲣᲗᲐᲠᲗᲐᲡ ᲘᲛ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲪ Ა. ᲮᲐᲠᲚᲐᲛᲞᲘᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲑᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ. ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ Ა. ᲮᲐᲠᲚᲐᲛᲞᲘᲔᲕᲘ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲡᲐᲯᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ.

ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲓᲝᲡᲐᲐᲤᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ და ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲠᲐᲓᲘᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲰᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲬᲧᲝᲑᲔᲜ ᲠᲐᲓᲘᲝᲓᲝᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲡᲐᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲠᲐᲓᲘᲝᲡ“ ᲯᲘᲚᲓᲝᲜᲖᲔ.

ᲔᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲬᲧᲝᲑᲐ, ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ 1957 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ 7 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ 13 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗ) 2 და 7-ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲛᲧᲐᲠᲘᲡᲣᲚᲚᲝ ᲓᲘᲐᲞᲐᲖᲝᲜᲔᲑᲖᲔ. ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ 12-18 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲝᲛᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲠᲐᲓᲘᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲛ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲝᲗᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲐᲬᲧᲝ ᲯᲘᲚᲓᲝᲜᲘ. ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲜᲔᲚᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐᲝᲠᲓᲔᲜᲝᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲯᲘ

ხელი შევუწყოთ მშრომელთა ფიზიკურად განვითარების საქმეს—ასეთია ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციის საპატიო ამოცანა



შრომის ნაყოფიერების საწინდარი

ჯანუბრელად უმჯობესდება ჩვენი ქვეყნის მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა მშრომელების ფიზიკურ გაკაჟებას. ყველა ქარხანაში, ფაბრიკაში არსებობს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი, სპორტული სექციები, სადაც ყოველდღიური მეცადინეობით მშრომელები იწრთობენ სხეულს, იკაჟებენ ორგანიზმს, იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას. ჩვენი სამშობლოს საწარმოთა მუშები, მოსამსახურეები წარმატებით მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში, ბევრი მათგანი ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენის საპატიო სახელს ატარებს.

ამ წერილში ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფიზკულტურული საქმიანობის ერთ მეტად სასარგებლო დარგზე, სახელდობრ — საწარმოო ტანვარჯიშზე. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, საწარმოო ტანვარჯიშის სისტემატური ჩატარება ხელს უწყობს მშრომელთა ფიზიკური გაჯანსაღების საქმეს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებაში. ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას სათანადო ყურადღება არ ეთმობა, მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო პროფსაბჭომ ამ საკითხზე კარგა ხანია მიიღო დადგენილება. თბილისში მხოლოდდამხოლოდ ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაშია ეს საქმე მოგვარებული. ამ საწარმოს მუშები, მოსამსახურეები დიდი ხალისით იკრიბებიან თავიანთ საამქროებში, სადაც ისინი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ასრულებენ სხვადასხვა ვარჯიშს. ფაბრიკის მუშები დიდი კმაყოფილებით აცხადებენ, რომ საწარმოო გამაჯანსაღებელი ტანვარჯიში დადებითად მოქმედებს მათს შრომისუნარიანობაზე.

ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებმა გადამჭრელი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ წარმოება-დაწესებულებებში საწარმოო გამაჯანსაღებელი ტანვარჯიშის დანერგვაად, საჭიროა მუშა-მოსამსახურეებში ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა საწარმოო ტანვარჯიშის დადებითი მნიშვნელობის შესახებ. ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, მედიცინის მუშაკები ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა წინაშე უნდა გამოვიდნენ ლექციებით, დაეხმარონ ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებს საწარმოო ტანვარჯიშის მოწყობაში. ამ საქმეში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმაც.

უდავოა, რომ საწარმოო ტანვარჯიშის ფართოდ დანერგვა მოითხოვს საზოგადოებრივი კადრების დიდ რაოდენობას. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების ვალია დაუღალავად იზრუნონ ფაბრიკების, ქარხნების, დაწესებულებების აქტივიდან ინსტრუქტორ-მეთოდისტების მომზადებაზე. საწარმოო გამაჯანსაღებელმა ტანვარჯიშმა საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს ფიზკულტურული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელობის საქმიანობაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საკითხიც, ზემდგომმა ორგანიზაციებმა წინადადება მისცეს იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომელთა განკარგულებაში შედის ახალმშენებლობები, შეუქმნან სამუშაოდ ჩამოსულ ახალგაზრდებს ნაყოფიერი შრომისა და კულტურული დასვენების ყველა პირობა. ამასთან დაკავშირებით ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა მიიღო დადგენილება ახალმშენებლობებზე მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

რა მდგომარეობაშია ჩვენთან ახალმშენებლობათა ფიზკულტურული კოლექტივები? ამ მხრივ სამაგალითოა ლაჯანურიზესის მშენებლობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი. აქ ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და მძლეოსნობის სექციები, რომლებშიც ბევრი ახალგაზრდაა გაერთიანებული. მშენებელი სპორტსმენები წარმატებით გამოდიან რაიონულ შეჯიბრებებში, იკავებენ საპრიზო ადგილებს. ჩვენ რომ მშენებელთა შორის ფიზკულტურულ მუშაობას მთელი გულისყურით ვეკიდებოდეთ, ასეთივე მდგომარეობა გვექნებოდა სხვაგანაც. ახალგაზრდა მუშების ფიზიკური გაკაჟებისათვის უნდა იზრუნონ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, რომელთა ტერიტორიაზეც გაჩაღებულია ახალმშენებლობები. კარგი იქნება, თუ ადგილებზე ჩავატარებთ საჩვენებელ გამოსვლებს უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით, მოვაწყობთ სტენდებს სხვადასხვა სპორტული თვალსაჩინოებით.

ხელი შეუწყოთ მშრომელთა ფიზიკური განვითარების საქმეს — ასეთია ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციის საპატიო ამოცანა.

„ლ ე ლ ო“
მე-2 გვ. № 96 (1006).

დავნერგოთ საწარმოო ტანვარჯიში

რა არის საწარმოო ტანვარჯიში?

ცნობილია, რომ ადამიანთა შრომისუნარიანობა მერყეობს და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერებაც მეტნაკლებად მერყეობს სამუშაო დღის განმავლობაში. ადამიანები თანდათანობით ებმებიან მუშაობაში რამდენიმე საათის შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორი დაძაბულობისა და ხასიათისაა სამუშაო, თავს იჩენს დაღლილობა და მოთხოვნილება ხანმოკლე დასვენებისადმი. აი, რატომაა შემოღებული რეგლამენტირებული შესვენება ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოში.

როგორ უნდა გამოვიყენოთ უფრო უკეთესად ეს შესვენება? როგორ შევუქმნათ მუშებს საუკეთესო პირობები დასვენების, შრომისუნარიანობის სწრაფად აღდგენისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის? ეს საკითხები ეხება უშუალოდ შრომის რეჟიმის ორგანიზაციას. მათი გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა საწარმოო ტანვარჯიში.

რატომაა საჭირო საწარმოო ტანვარჯიში?

ბევრ საწარმოში უკვე შემოღებულია საწარმოო ტანვარჯიში, რომლის შედეგად მუშებს უმოკლდებათ მუშაობაში ჩართვის დრო და სამუშაო დღის დაწყებისთანავე შრომისუნარიანობა ისეთივეა, როგორც მუშაობის საუკეთესო საათებში. „ფიზკულტურული პაუზის“ გამოყენების შედეგად მალე ქრება დაღლილობა და მუშები შესვენების შემდეგ მუშაობას იწყებენ ახალი ენერგიით, დასვენებულები. ამ ღონისძიების („ფიზკულტურულ პაუზას“) საფუძვლად უდევს დიდი რუსი ფიზიოლოგის სეჩენოვის აღმოჩენა. მან პირველმა დაამტკიცა, რომ, როგორც წესი, საქმიანი აქტიური დასვენება უფრო სასარგებლოა ადამიანისათვის, ვიდრე სრული მყუდროება, პასიური დასვენება.

როგორ ჩავატაროთ შესავალი ტანვარჯიში საწარმოში?

შესავალი ტანვარჯიში უნდა ტარდებოდეს სამუშაოს დაწყებამდე 5-7 წუთით ადრე.

შესავალი ტანვარჯიშის კომპლექსში შედის 6-7 ვარჯიში, რომლებიც იყოფა საერთო და სპეციალურ ვარჯიშებად. ყველა ეს ვარჯიში ერთმანეთს მისდევს გარკვეული თანმიმდევრობით, რადგანაც თითეული ვარჯიში ისახავს გარკვეულ მიზანს.

საერთო ვარჯიშები ჩვეულებრივი ხასიათისაა. ერთ ადგილზე სიარული ბრუნებით, სირბილი და წაბაკმები ადგილზე, ჩაჯდომები, გაჭიმვა ღრმა სუნთქვით, სხეულის დახრა და ტრიალი, ხელების მოხრა, გაშლა და ა. შ.

შესავალი ტანვარჯიშის კომპლექსის სწორი შერჩევით მუშები პირველი წუთებიდანვე სწრაფად და მსუბუქად ებმებიან სამუშაო ტემპში და უმოკლდებათ მუშაობაში ჩართვის დრო.

როგორ ჩავატაროთ „ფიზკულტურული პაუზა“ საწარმოში?

ცდამ ვაჩვენა, რომ „ფიზკულტურული პაუზის“ ჩატარება ყველაზე კარგია შესვენების დროს, როცა დაღლილობა თავს იჩენს ყველაზე მეტად; ჩვეულებრივ ეს ხდება 1,5-2 საათით ადრე სამუშაოს დამთავრებამდე. შრომის ზოგიერთი სახის დროს მიზანშეწონილია ფიზკულტურული პაუზის არა ერთხელ, არამედ ორჯერ ჩატარება დღეში — დღის პირველ და მეორე ნახევარში. ფიზკულტურული პაუზა გრძელდება 7-10 წუთს. ისევე, როგორც შესავალი ტანვარჯიშის დროს, ვარჯიშები უნდა შესრულდეს გარკვეული თანმიმდევრობით: დასაწყისში ტარდება ვარჯიში გაჭიმვაზე ღრმა სურთქვის თანხლებით, შემდეგ ვარჯიში წახტომებით, ადგილზე რბენა და ჩაჯდომები, შემდეგ ვარჯიშები ხელისა და ფეხის კუნთების მოსადუნებლად და ვარჯიში ხელების მოდუნებასა და გამართვაზე. ყველა ამ ვარჯიშის მიზანია ვამართოთ და გაასწოროს ტანი, გააფართოოს გულმკერდის არე, გაძლიეროს სუნთქვა და სისხლის მიმოქცევა, ხელი შეუწყოს ნივთიერებათა ცვლას. ვინაიდან შრომის პროცესს ზოგჯერ თან ერთვის განსაზღვრული კუნთების გაძლიერებული მუშაობა, ამ შემთხვევაში ფიზკულტურულ პაუზაში აუცილებლად უნდა ჩავურთოთ პაუზები მოდუნებაზე. ამგვარი ვარჯიშები უნდა ჩატარდეს ნელ ტემპში ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე. თუ სხეული დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ერთსადაიმავე მდგომარეობაში, ვარჯიშები სწრაფად აღადგენენ სისხლის მიმოქცევას და ლიკვიდირებელი კუნთების ცალმხრივი დატვირთვის მოსალოდნელ შედეგებს. „ფიზკულტურული პაუზა“ უნდა მთავრდებოდეს სპეციალური ვარჯიშით, რომლის დანიშნულებაა დაიჭაროს და შეამსუბუქოს სამუშაოში ჩართვა შესვენების შემდეგ.

ყველა პროფესიაში შეიძლება თუ არა საწარმოო ტანვარჯიშის გამოყენება?

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, შრომის ყველა გვარეობა ხასიათდება სამუშაო დღის განმავლობაში შრომისუნარიანობისა და შრომისნაყოფიერების მერყეობით. თითქმის ყველა შემთხვევაში თავს იჩენს თანდათანობით ჩაბმა სამუშაოში და შრომისუნარიანობისა და შრომისნაყოფიერების შემცირება სამუშაო დღის ბოლოს. ტანვარჯიშით უნდა სარგებლობდეს ყველა, როგორც მუშები, ისევე მოსამსახურეები, ქალები და მამაკაცები განურჩევლად წლოვანებისა და სპეციალობისა. ფიზიკური ვარჯიშები, რომლებსაც იყენებენ საწარმოში თავისი სიმარტივით და უბრალოებით, ხელმისაწვდომია ყველასათვის.

არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფიზკულტურული ვარჯიშები მუშაობის დაწყების წინ და შესვენების დროს აუცილებლად უნდა ეთანხმებოდეს შრომის ხასიათს. სტანდარტი ამ შემთხვევაში დაუშვებელია. აუცილებლად საჭიროა მიგიღოთ მუშაობის კონკრეტული მდგომარეობა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, საწარმოო ტანვარჯიში არ შეიძლება მივაწვალოთ სხვა ღონისძიებას, რომელიც მიმართულია შრომის პირობების გაჯანსაღებისათვის, ამიტომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით უნდა შეირჩეს მთელი რიგი საკითხი, რომელიც ეხება საწარმოო ტანვარჯიშის ორგანიზაციას და ჩატარებას.

ვინ ეხელმძღვანელოს საწარმოო ტანვარჯიშს?

საწარმოო ტანვარჯიშის მოწყობის საქმეში პასუხისმგებელი უნდა იყოს ამ საქმის სპეციალისტი. მან კარგად უნდა შეისწავლოს ამ საწარმოსა და ყველა პროფესიის თავისებურება და შემდეგ შეადგინოს სასარგებლო ვარჯიშების კომპლექსი მოცემული პროფესიის პირობებისა და ხასიათის შესაბამისად. ასეთი სპეციალისტი უნდა იყოს ფიზიკური კულტურის ინსტრუქტორი. მას უნდა დაეკისროს საწარმოო ტანვარჯიშის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა. ინსტრუქტორმა უნდა დაამყაროს კავშირი ჯანდაცვის პუნქტთან, საწარმოს პარტიულ, პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან. ყველა ფიზიკური ვარჯიში, რომლებიც შედის საწარმოო ტანვარჯიშში, კარგად უნდა შეისწავლონ აქტივისტებმა, საზოგადოებრივმა მუშაკებმა. მუშათა შემადგენლობიდან აქტივის შერჩევა ყველაზე უფრო კარგად შეუძლიათ საამქროს უფროსებსა და ოსტატებს, კომკავშირის კომიტეტთან ერთად. უნდა შეირჩეს წარმოების საუკეთესო მუშაკები, რომლებიც დაინტერესებული არიან ფიზკულტურითა და სპორტით, მშთ ნიშნონსები. ამ აქტივთან ფიზკულტურის ინსტრუქტორი ატარებს რეგულარულ მუშაობას. მან არა მარტო უნდა აჩვენოს და აუხსნას ვარჯიში, არამედ გაარჩიოს ფიზკულტურის საერთო საკითხები და მუშაობის ჩატარების მეთოდიკა. მან უნდა ამაღლოს აქტივისტების თეორიული ცოდნა, შეაუნერგოს მათ შეგნებული დამოკიდებულება ფიზკულტურისადმი.

საწარმოო ტანვარჯიში და გონებრივი შრომა

ყველაფერი ის, რაც ითქვა საწარმოო ტანვარჯიშის სარგებლობაზე, მთლიანად ეხება ავრეთვე გონებრივი შრომის წარმომადგენლებს. საწარმოო ტანვარჯიშს საფუძვლად უდევს აქტიური დასვენების პრინციპი. შეეძლოს ორგანიზმს სწორი და სასარგებლო დასვენება, ეს ნიშნავს მოღვაწეობის ერთი ფორმა შეცვალოს მეორეთი, შეძლოს დროულად და კარგად ვადავიდეს ერთი სამუშაოდან მეორეზე. უმთავრესად ვონებრივი შრომის მუშაკებისათვის საწარმოო ტანვარჯიში უნდა შედგეს სხვანაირად, ვიდრე იმ მუშაკებისათვის, რომელთა შრომაც დაკავშირებულია კუნთების ცოტად თუ ბევრად დაღლასთან. მუშაკთა ამ კატეგორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის რეჟიმის სწორ ორგანიზაციას. ტანვარჯიშის ჩატარება მუშაობის წინ და ფიზიკური ვარჯიშები მკაცრად რეგლამენტირებული შესვენების დროს უნარჩუნებს გონებრივ შრომისუნარიანობას და იცავს იმ შავნე შედეგებისაგან, რასაც იწვევს ერთფეროვანი და ზოგჯერ კი გადამეტებული გონებრივი დატვირთვა.

დიდმა რუსმა ფიზიოლოგმა პავლოვმა დამტკიცა და პირადი გამოცდილებით დაასაბუთა სწორად შეთანხმებული ფიზიკური და გონებრივი მუშაობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა. მის სამუშაო რეჟიმში შედიოდა აუცილებელი ფიზიკური ვარჯიშები. იგი თვლიდა, რომ ცხოლად ამის წყალობით შეინარჩუნა მან ფიზიკური და გონებრივი მუშაობის სიახლე ღრმა სიბერემდე. უნდა მისდიონ რა პავლოვის მაგალითს, გონებრივი შრომის მუშაკებმა წესად უნდა შემოიღონ ფიზიკური ვარჯიშის ჩატარება ყოველდღიურად. არ უნდა კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ დილის ჰიგიენური ტანვარჯიშით.

ე. ა. ბაბაევი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს პროფსაბჭოში

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სპორტსაზოგადოებებსა და მათ ძირეულ კოლექტივებში ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების შესახებ. ანგარიშგება-არჩევნები საწარმო, დაწესებულებებსა და სასწავლებლების ძირეულ კოლექტივებში უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე. სპორტსაზოგადოებათა რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური საბჭოების კონფერენციები ჩატარდება 1957 წლის თებერვალ-მარტში.

პრეზიდიუმმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ, საფაბრიკო-საქარხნო და სადგურისპირა კომიტეტებს დაავალა სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებთან ერთად უზრუნველყონ ანგარიშგება-არჩევნების მომზადება და მაღალ დონეზე ჩატარება, დაამუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ საქმეში აქტიურად გამოიყენონ ადგილობრივი ორგანიზაციები.

ანგარიშგება-არჩევნები და კონფერენციები სპორტსაზოგადოებებში უნდა ემსახურებოდეს პარტიის XX ყრილობის გადწყვეტილებათა განუხრელად შესრულების საქმეს.

პრეზიდიუმმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებსა და სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებს დაავალა დაამუშაონ და დაამტკიცონ ძირეულ კოლექტივებში ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების ვადები, გამოყონ კრების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები და დააწესონ კონტროლი დასახულ ღონისძიებათა გატარებაზე.

გაზეთის ჯილდოზე

თბილისში, ლენინის საბელობის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს რესპუბლიკური შეჯიბრება ფრენბურთში გაზეთ „მოლოდინ სტალინელის“ ჯილდოზე, რომელშიც ვაჟთა 8 და ქალთა 9 კოლექტივი მონაწილეობს.

შეჯიბრება გახსნეს ბათუმისა და თბილისის განათლების განყოფილების ქალთა გუნდებმა. პირველი პარტია მოიგეს თბილისელებმა, მაგრამ მომდევნო პარტიაში ბათუმელები აქტიურდნენ და ანგარიში გაათანაბრეს. მესამე ვადამწყვეტ პარტიაში სტუმრებმა უკეთ ითამაშეს და გაიმარჯვეს.

ვაჟთა გუნდების შეხვედრებიდან აღსანიშნავია ბათუმისა და თბილისის განათლების განყოფილებების ფრენბურთელთა შეხვედრა. მაყურებლთა მოლოდინი არ გამართლდა. მოსწავლე სპორტსმენებმა, რომლებიც კარგად ფლობენ სპორტის ამ სახეობის ტექნიკასა და ტაქტიკას, ერთ ჯერადს გააზრებული თამაში. იტყვიან იყო, რომ პირველი პარტიის შემდეგ დანარჩენ ორ პარტიაში მათ დამარცხება განიცადეს. ლოგოდეხისა და თეთრი წყაროს ქალთა გუნდების შეხვედრაში ბათუმმა მოიგო ლაგოდეხს, ფიზკულტურის ინსტიტუტმა — გორს. სოხუმი-ცაგერი — 2:1; ფიზკულტურის ინსტიტუტმა დაამარცხა — ცაგერი; პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა — გორი და სოხუმი; გორმა — ცაგერი; ვაჟთა გუნდებიდან ლაგოდეხმა მოუგო — ცაგერს, ყვარელმა — ადიგენს, ფიზკულტურის ინსტიტუტმა — ბორჯომს, თბილისის ოფიცერთა სახლმა — მარნეულს, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტმა — ტყვარჩელსა და თეთრი წყაროს, სოხუმმა — ტყვარჩელს, პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა — ახალქალაქსა და გორს.

მეორე დღის შეხვედრებიდან საინტერესო გამოდგა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და განათლების განყოფილების გუნდების შეხვედრა. პირველ პარტიაში ინიციატივა ხელთ იგდეს მოსწავლე სპორტსმენებმა და გაიმარჯვეს. იგრძნეს რა დამარცხების საშიშროება, სტუდენტებმა მობილიზება უყვეს თავის ძალებს და მოიგეს მეორე პარტია. გადამწყვეტ პარტიაში წინ იყვნენ მოსწავლეები, რომელთაც ჰქონდათ გამარჯვების შესაძლებლობა, მაგრამ მათი დაცვის მიერ დაშვებულმა შეცდომამ გამარჯვება სტუდენტებს მოუტანა: საჭირო გამარჯვება მოიპოვა სოხუმის ქალთა ვუნდმა ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებთან შეხვედრაში. ბათუმმა მოუგო ლაგოდეხს, ფიზკულტურის ინსტიტუტმა — გორს. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ქალები. სოხუმი-ცაგერი — 2:0; განათლ. განყოფილება-თეთრი წყარო — 2:0; ფიზკულტურის ინსტიტუტი-ცაგერი — 2:0. ვაჟები. ლაგოდეხი-თეთრი წყარო — 2:1; ტყვარჩელი-ცაგერი — 2:1; ბათუმი-ახალქალაქი — 2:0; მარნეული-თელავი — 2:0; ბორჯომი-ადიგენი — 2:1; ცაგერი-თეთრი წყარო — 2:1; რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი-ლაგოდეხი — 2:0; ბათუმი-გორი — 2:0; განათლ. განყოფილება-ახალქალაქი 2:0; ფიზ. ინსტიტუტი-ყვარელი — 2:0.

შეჯიბრება გრძელდება...

ლ. ფაშალიშვილი

საკავშირო ნახევარფინალი

თბილისელი ჭადრაკის მოყვარულები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის XXIV ჩემპიონატის ნახევარფინალისადმი. მათთვის რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზის ფოიეში იმართება ლექციები, საუბრები და შეჯიბრებაში გათამაშებული პარტიების გარჩევა. საჭირო, რომ გაიმართოს აგრეთვე ერთდროული თამაშის სეანსებიც. დიდი გამოცოცხლება შეაქვს სპეციალურ საჭადრაკო ბიულეტენს, რომელიც სამ დღეში ერთხელ გამოდის.

მეხუთე ტური

ტურნირში ბრძოლა მწვავდება. ეს ნათლად ემჩნეოდა მეხუთე ტურის პარტიებს. ალსანიშნავია კორჩნოი-ბუსლაევისა და ხალილბეილი-ფურმანის პარტიები. თბილისელმა ბუსლაევმა გროსმაისტერის ნიკოლაევიჩის დაცვაში ახალი გაგრძელება შესთავაზა. კორჩნოიმ პაიკში, რომელიც მან შესწირა, კომბინაცია ვერ მიიღო. განსაზღვრულ მომენტამდე ბუსლაევი კარგად თამაშობდა. მაგრამ საკმარისია იყო ერთი ნაჩქარევი სვლა, რომ ინიციატივა გროსმაისტერის მხარეზე გადავიდა. ბუსლაევი შეუპოვრად აწარმოებდა დაცვას. მოხერხებულ მომენტში მან თო ფიგურაში გაბედულად შეწირა ლაზიერი და საინტერესო ყაიმს მიაღწია. მალე დამარცხდა ხალილბეილი — სულ რაღაც 10 სვლაში. ტარაშის დაცვაში იგი წაიწყდა ფურმანის მანამდე უცნობ გაგრძელებას, რომელიც შავებს უკეთეს პოზიციას აძლევს. მაგრამ ბაქოელი ოსტატობის კანდიდატი მოულოდნელად შეცდა, დაკარგა ფიგურა და მყისვე დანებდა.

ნაკადმოყოფარი ტალი აზარტულად უტევდა ზურახოვს. ის არ მორიდებია ფიგურის შეწირვას. მაგრამ ამან მას არ მისცა სასურველი შედეგი. უიმედო წინააღმდეგობის შემდეგ იგი დამარცხდა. მღელვარება გამოიწვია გურგენიძე-ვორონკოვის პარტიამ. თბილისელმა ოსტატმა ცოტად გაითამაშა დებიუტი და ძნელი ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. მან შეძლო პოზიციის კონსოლიდირება და მე-17 სვლაზე მიღწეული შეთანხმებულ ყაიმი.

პეტროსიანმა სიცილიურ დაცვაში გიორგაძეთან ანგარიში გასწორა. თამაშის შედეგად, გამოიყენა რა გიორგაძის პასიური მანევრები ლაზიერის ფრთაზე, ძლიერი გამსვლელი პაიკი შექმნა. როდესაც გიორგაძემ მოიგო ოვი, გროსმაისტერი ლაზიერი-თა და ეტლით მტკიცედ დაეუფლა მეორე ჰორიზონტალს, პარტია თუმცა ამ დღეს არ დამთავრებულა, მაგრამ მისი განახლებისას გიორგაძე ხუთითიდე სვლაში დანებდა.

საინტერესოდ დაიწყო კატკოვ-პოლუგაევსკის შეხვედრა. ესპანური პარტიის აქტუალურ ვარიანტში ვერც ერთმა მხარემ ვერ მიიღო უპირატესობა, ამიტომ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. კასპარიანი იუხტმანთან დიდხანს ინარჩუნებდა უკეთეს შანსებს. მაგრამ მოსკოველმა შეძლო ყაიმის მიღწევა.

გადადებული პარტიების დამთავრება

პეტროსიანმა ზუსტი თამაშით მოუგო გურგენიძეს. მეორე გადადებულ პარტიაში ზურახოვთან გურგენიძემ დამაჯერებლად გამოიყენა თავისი პოზიციის უპირატესობა და გამარჯვა. კობლენცმა ადვილად მოახდინა უპირატესობის რეალიზაცია ჩუკაევთან და მეორე გამარჯვება ჩაიწერა სატურნირო ცხრილში. სახაროვმა ალსწორი თამაშით კოტკოვს ყაიმის შანსები მისცა, რომელიც უკანასკნელმა დაუყოვნებლივ გამოიყენა. ტალმა ეტლების ენდშპილში პოლუგაევსკისთან ყაიმს მიაღწია.

ამრიგად ხუთი ტურის შემდეგ წინ არიან ტ. პეტროსიანი, ა. კობლენცი და ს. ფურმანი — თითოეული მათგანს 3,5 ქულა აქვს.

ჭადრაკი

დღეკამოკვეტროვსკიდან

გადადებული პარტიების დამთავრების დღისათვის, რომელიც ხუთი ტურის შემდეგ იყო, ჩვენი მოჭადრაკეებიდან მხოლოდ ტოგონიძეს (იგნატიევასთან) ჰქონდა დაუმთავრებელი პარტია. ქართველი მოჭადრაკის პოზიცია ძნელად დასაცავი იყო და იგი დამარცხდა. ვოლპერტმა ვოიცეკოვთან გაიმარჯვა და ამით კვლავ ლიდერთა ჯგუფში აღმოჩნდა. ყაიმით დამთავრდა კრიუკოვა-ტახომიროვას პარტია.

მეექვსე ტური

ძლიერად ითამაშეს ლიდერებმა: ტახომიროვამ დაამარცხა გორინა, ხოლო ვოლპერტმა — ზატულოვსკაია. ზვორიკინა-რუდენკოს შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

მტკიცე ნებისყოფა გამოამჟღავნა კაკაბაძემ, რომელმაც ზედიზედ ორი დამარცხების შემდეგ, ენერგიულად ჩაატარა პარტია კოლტუნოვთან. ეს შეხვედრა კაკაბაძის გამარჯვებით დამთავრდა.

სხვა შეხვედრებში ვოიცეკმა მოუგო კრიუკოვას, კაცკოვამ — ეისტერკინას. ყაიმზე შეთანხმდნენ სკბინოვა და მატვეევა.

დანარჩენი პარტიები გადადებულია. გაფრინდაშვილს — იგნატიევასთან, ხოლო ტოგონიძეს — ბორისენკოსთან უარესი პოზიციები აქვთ.

მეშვიდე ტური

ამ დღეს დამთავრდა ხუთი პარტია. კოლტუნმ მოუგო რუდენკოს, ბორისენკომ — მატვეევას. ვოლპერტმა ესტერკინასთან გამარჯვებით შეჯიბრებას სათავეში მოექცა. პირველი დამარცხება განიცადეს გაფრინდაშვილმა და ტახომიროვამ, რომლებმაც წააგეს სემიონოვასა და ვოიცეკოვთან.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

გადადებული პარტიების დამთავრება

კაკაბაძემ გორინასთან კარგად გამოიყენა უპირატესობა და ძიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო. ორ პარტიას ამთავრებდა ტოგონიძე. იგი დამარცხდა ბორისენკოსთან და ყაიმს მიაღწია კაცკოვასთან. დანარჩენი პარტიები კვლავ გადადებულია.

შვიდი ტურის შემდეგ ვოლპერტს აქვს 6 ქულა, ზვორიკინას — 5 (ექვსიდან.

ვ. ძარსელაძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ფრენბურთელთა შეჯიბრება

თბილისის სპორტულ დარბაზში დღე მიმდინარეობდა ქალაქის უკეთესო ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრება.

ტად დაძაბული იყო შეჯიბრება ვაჟთა შორის, განსაკუთრებით პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ოფიცერთა სახლისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა.

ორველი ადგილი ტურნირში დაიკავეს არმიელებმა, რომლებმაც ერთ ერთ ერ ... ...

ეხმარებიან კოლმეურნე ფიზკულტურელებს

ხუთ წელზე მეტია, რაც სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი“ შეფობას უწევს მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურელებს, ეხმარება მათ მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსანი სპორტსმენების მომზადებაში, სექციური მუშაობის გაჩაღებაში.

შეფები სოფლის სპორტსმენთა ხშირი სტუმრები არიან. თავის მხრივ კოლმეურნე ფიზკულტურელებიც ჩამოდიან თბილისში და ადგილზე ეცნობიან მოწინავე კოლექტივების, სპორტსმენების გამოცდილებას.

ამას წინათ სოფელ შრომის ფიზკულტურელებს კვლავ ესტუმრა „ლოკომოტივის“ სპორტსმენთა ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში შედიოდნენ საგიტაციო მოტო-ველოგადარბენის მონაწილეები, მეორეში — ძალოსნები, მოკრივეები, ტანმოვარჯიშეები, კალათბურთელები და მოჭადრაკეები. ლოკომოტიველები მახარაძეში გაემგზავრნენ ვაგონით, რომელიც მორთული იყო სპორტული ალმებით, პლაკატებით, ტრანსპარანტებით. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, მახარაძელმა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

სოფელ შრომის კლუბში კოლმეურნეები შეხვდნენ „ლოკომოტივის“ სპორტულ დელეგაციას. „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. ხაბალაშვილმა კოლმეურნეობის მე-7 ბრიგადას სპორტულ მუშაობაში კარგი შედეგების მოპოვებისათვის ჯილდოდ გადასცა ვერცხლის თასი. შემდეგ ჩატარდა ლოკომოტიველ სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები.

ხ. რუსიშვილი

სოფლის სპორტსმენთა ჩემპიონატი

ორჯონიკიძეში დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა 11 მოკავშირე რესპუბლიკის 100-მდე სპორტსმენი.

ბრძოლა როგორც გუნდური, ისე პირადი პირველობისათვის, მეტად დაძაბულად წარიმართა. საქართველოს კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ მ. ხასაია, ბ. ზარქუა, ს. ზედელაშვილი, ვ. დევნოზაშვილი, ი. ჩხარტიშვილი ვ. ვაჭარაძე, პ. კუბლაშვილი და ჯ. მანელიშვილი.

სამდღიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველობა და გარდამავალი თასი მოიპოვა საქართველოს მოჭიდავეთა გუნდმა (მწვრთნელები ვ. კუხიანიძე და ვ. ილურიძე). მეორე ადგილზე გამოვიდა ესტონეთის კოლექტივი, შარშანდელ პირველობაში გამარჯვებული უკრაინის მოჭიდავეთა გუნდი იძულებული გახდა მესამე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

საქართველოს კოლმეურნე მოჭიდავეებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს. უმჩატეს წონაში შეხვედრები მაღალ დონეზე ჩაატარა მ. ხასაიამ, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. მჩატე წონაში ბ. ზარქუამ ყველა შეხვედრა სუფთად მოიგო, იგი მოწინააღმდეგეს 2-3 წუთში ბეჭებით აწვენდა ხალიჩაზე და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის საპატიო წოდება. ასევე ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა საშუალო წონის მოჭიდავემ ვ. ვაჭარაძემ.

ტრავმის მიღების გამო შეჯიბრება სუსტად ჩაატარეს ხ. ზედელაშვილმა (ქვემსუბუქი წონა) და გ. დევნოზაშვილმა (მსუბუქი წონა).

ქვემძიმე წონის მოჭიდავე კ. კუბლაშვილი დამარცხდა შარშანდელ ჩემპიონთან სპორტის ოსტატ ბანდურთან და აგრეთვე ბაქოელ მუსტარალიევთან შეხვედრებში, რის შედეგადაც მხოლოდ მეოთხე ადგილის დაკავება შეძლო. მძიმე წონაში უბადლო იყო ჯ. მანელიშვილი. მან ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის უკრაინელი სპორტის ოსტატი გ. პერნიაკოვი და მეორედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება სოფლის სპორტსმენთა შორის.

საქართველოს მოჭიდავეთა გუნდის სამმა წევრმა — ბ. ზარქუამ, ვ. ვაჭარაძემ და ჯ. მანელიშვილმა, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს, შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

ვ. კუხალეიშვილი





ეროვნული ბიბლიოთეკა დიგიტალური

დიღმის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა დაბალ დონეზე იდგა. გამოუყენებელი იყო ბაზები და ინვენტარი.

როცა ტექნიკუმში ახალი შევსება მოვიდა, ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს გამოეყენებინათ არსებული შესაძლებლობანი, დაიწყეს ბაზების რემონტი. მათ წამოწყებას მხარი დაუჭირა დირექციამ (დირექტორი ი. სამსონია). სპორტდარბაზი გაათავისუფლეს, წესრიგში მოიყვანეს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, დიდი რაოდენობით შეიძინეს სპორტული ინვენტარი და ტექნიკუმში დაიწყო მჩქეფარე ფიზკულტურული ცხოვრება.

ახლა დიღმის ტექნიკუმი ერთ-ერთი მოწინავეთაგანია გარეუბნის რაიონის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. აქ რეგულარულად მუშაობენ კალათბურთის, ფრენბურთის, კლასიკური და ქართული ჭიდაობის, ძალოსნობის, ველოსპორტის, მძლეოსნობის, ფეხბურთისა და სროლის სექციები, რომლებშიც, გარდა მოსწავლეებისა, სისტემატურად მეცადინეობენ მასწავლებლებიც.

ტექნიკუმში მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობას ნაყოფიერად ხელმძღვანელობს ძირეული საბჭო, რომელიც ყველა ღონისძიების ორგანიზატორია (სურათი 1). სწორედ მისი უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით შეიქმნა აქ ველოსექცია, რომელმაც მოკლე ხანში რამდენიმე თანრიგოსანი გამოზარდა, ხოლო IV კურსელმა ვ. ქავთარაძემ გასულ წელს რაიონის ჩემპიონობაც მოიპოვა. საგზატკეცილო რბოლაში. სექციის აქტიური წევრები არიან აგრეთვე მეორეთანრიგოსანი უ. ქურხული, მესამეთანრიგოსნები ი. მეტრეველი, ა. ხარებაშვილი და სხვები. ამ დღეს ისინი მორიგ მეცადინეობას ატარებდნენ დიღმის გზატკეცილზე (სურათი 2.).

ტექნიკუმის ეზოში შესვლისთანავე ჩვენს წინ ასეთი სურათი (იხილეთ სურათი 3) ვადაშალა. ესენი ჭიდაობის სექციის წევრები არიან, რომლებსაც გარეთ გამოუტანიათ ხალიჩა და გულმოდგინედ ვარჯიშობენ.

სურათი 4 ჩვენმა ფოტორეპორტიორმა მაშინ გადაიღო, როცა მორიგ მეცადინეობას ატარებდა მძლეოსნობის სექცია.

— კარგი მძლეოსნები და ფეხბურთელები გვყავს. ვ. წიკლაური პირველთანრიგოსანია, ხოლო უ. სულხანიშვილი მეორეთანრიგოსანი ძალოსანია. მესამეთანრიგოსნები მ. კაკლიშვილი, ვ. ბუდური, გ. კაკულაძე ახლა მეორე თანრიგის ნორმების ჩაბარებისათვის ემზადებიან. ფეხბურთელებმა კი მიმდინარე წლის სარაიონო ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი მოიპოვეს

ტექსტი ო. ივდოშვილისა,
ფოტო დ. იაკობაშვილისა.

ახალი სტადიონი

ცუდი, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ახალ ათონში არ წყდება ახალი სტადიონის მშენებლობა, რომელიც დაიწყო აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით. მშენებლებმა უკვე დაამთავრეს ჩოგბურთის კორტისა და ფრენბურთის მოედნის მიწის სამუშაოები, მოეწყო დრენაჟი. ახალი ბაზების მშენებლობის დამთავრება ვათვალისწინებულია 1957 წლის 1 მაისისათვის.

მომავალი სტადიონის ტერიტორია ბუნებრივად შემოზღუდულია ქარსაცავებით, რაც ბაზებს ვარგისს ხდის სრულწლიური წვრთნისათვის.

მალე რესპუბლიკის სპორტსმენები მიიღებენ ახალ სპორტულ ბაზას.

ბ. თარიშვილი

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი მატჩები ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე.

თბილისის „დინამოს“ პირველმა ჯუნდმა თავის მინდორზე მიიღო ფოთის „ბურევესტნიკი“. დინამოელებმა მატჩი ჩაატარეს მონდომებით და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:0.

* * *

მახარაძეში თამაშობდნენ ადგილობრივი და ქობულეთის „კოლმეურნის“ გუნდები. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს კიდევ ორი ბურთი და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

* * *

ქობულეთის „კოლმეურნემ“ ჩაატარა კიდევ ერთი მატჩი — ბათუმის „დინამოსთან“. მინიმალური ანგარიშით (2:1) გამარჯვება მოიპოვეს ბათუმელებმა.



გაუთვალისწინებელი თარჯი. ◉ პოპულარობის რეკორდი.

ეს მოხდა შვეიცარიის მძლეოსანთა ჩემპიონატზე 400 მეტრზე თარჯებით წინასწარი გარბენის დროს. ბილიკზე გამოჩნდა პატარა, თეთრი ფანჯა და მორბენალს გამოეცალა. რომ არ ვაესრისა ოთხფეხა „მეტოქე“, სპორტსმენი თარჯსაც უყურებდა და ძაღლსაც.

ერთმა გულშემატკივარმა ქალიშვილმა გადაწყვიტა დახმარებოდა მძლეოსანს, შეარჩია მომენტი და ლუკვს თავისი კაბის კალთა გადააფარა. ძაღლისა და ქალიშვილის კონწიალმა რამდენიმე წამს გასტანა. ამასობაში გამოჩნდა მეორე თარჯმრბენი, რომელიც მეზობელ ბილიკზე მორბოდა. მას სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გადაელახა კიდევ ერთი გაუთვალისწინებელი თარჯი — აბეზარ ლეკვთან ჩაცუცქული ქალიშვილი.

* * *

სოფიო ლორენი დამარცხების სიმწარეს განიცდიდა. მან კინოვარსკვლავთა შორის გამართულ საავტომობილო რბოლებში უკანასკნელი ადგილი დაიკავა. მაგრამ ეს დამარცხება ტრიუმფის ხასიათსაც ატარებდა, რადგან „ულამაზესთა შორის ულამაზესმა“ (როგორც მას განაცხადებენ გაზეთები) ყველა საჯარიმო ქულა მიიღო... დაგვიანებაში მან ყველგან ვარს ეხვევოდნენ კინოოპერატორები და ძლივს იკვლევდნენ გზას ტრასაზე.

თაყვანისმცემელთა ენთუზიაზმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ფინიშთან. ნეაპოლიტანური ვარსკვლავი დღესაც გიჩვენებთ ამ ატაცების კვალს, რაც მის სხეულზე დარჩა. ხალხის ბრბო მივარდა მას, მანქანას, ჩაამტვრია მინები. დანარჩენი ლორენს ახსოვს, როგორც საშინელი კოშმარი: ხელები, ხელები ათასობით ხელი ეხებოდა და ჩქმეტდა „ქალღმერთ ლორენს“.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14. УЦ 06375